


მაკროეკონომიკური პროგნოზები



ეკონომიკური ზრდის ტემპი 2023 – 2027 წწ



წვლილი 2023 წლის ეკონომიკურ ზრდაში:

რეალური მოხმარება (↑) : +3.2%

წმინდა ექსპორტი (↑) : +0.8%

რეალური ინვესტიციები (↑) : +2.8%

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

მაკროეკონომიკური პროგნოზები

სექტემბერი, 2023 წელი

ანგარიშის შესახებ: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მანდატის შესაბამისად, დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პროგნოზები მიზნად ისახავს წარმოადგინოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგნოზების ალტერნატიული საპროგნოზო მარგენებლები.

შენიშვნა: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პროგნოზები განახლდება საბიუჯეტო პროცესის და საბიუჯეტო ოფისის ანგარიშგების კალენდრის შესაბამისად.

ელ-ფოსტა:

pbo@parliament.ge; nsuarishvili@parliament.ge;
kvashakmadze@parliament.ge.

შინაარსი

1.პროგნოზირების მოდელის შესახებ	4
საბაზისო სცენარი	5
2.რეალური სექტორი	5
3.ფისკალური სექტორი	10
4.საგარეო სექტორი	16
5.მონეტარული სექტორი	18
დანართი 1: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (საბაზისო სცენარი).....	20
დანართი 2: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2023-2024 წლებისთვის (საბაზისო სცენარი).....	22
დანართი 3: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2025-2026 წლებისთვის (საბაზისო სცენარი).....	23
დანართი 4: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2027 წლისთვის (საბაზისო სცენარი).....	24

1. პროგნოზირების მოდელის შესახებ

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებული მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი (PBOMFM) არის თავსებადი საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ფინანსური პროგრამირებისა და პოლიტიკის მოდელის სტრუქტურასთან, რომელიც ეკონომიკური თეორიებიდან გამომდინარე ერთმანეთთან აკავშირებს ოთხ ძირითად სექტორს:

- რეალური სექტორი
- ფისკალური სექტორი¹
- საგარეო სექტორი
- მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკურ მოდელში აღნიშნულ სექტორებს შორის კავშირები წარმოდგენილია განტოლებების სახით, რომელიც იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1. **სააღრიცხვო იგივეობა:** მოიცავს ისეთ განტოლებებს, რომლებიც ასახავს სახელმწიფო ანგარიშსწორების იგივეობებს. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო დანახარჯებისა და წმინდა ექსპორტის ჯამს.

2. **ეკონომეტრიკული განტოლებები:** ასახავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ეკონომიკურ მოდელებს. მაგალითად, სამომხმარებლო ხარჯების განტოლება ეყრდნობა დაშვებას, რომ რეალურ მშპ-სა და სესხების რეალურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს გავლენა აქვს სამომხმარებლო ხარჯების მოცულობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განტოლებების შესადგენად გამოყენებულია ისეთი ეკონომიკური მოდელები, როგორებიცაა: ავტორეგრესიული მცოცავი საშუალოს მოდელი, ვექტორული ავტორეგრესია, შეზღუდული ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელი, უმცირეს კვადრატთა მეთოდის შეცდომის შესწორების მოდელი, ბაიესიანური ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი. ამასთანავე, მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელში დაშვებები გაკეთებულია 51 მაკრო-ფისკალურ ცვლადზე, საიდანაც 16 ეგზოგენური დაშვებაა, 31 წარმოადგენს მაკრო-ეკონომეტრიკული მოდელებიდან მიღებულ შეფასებებს (25 - მოდელიდან მიღებული შედეგებია, ხოლო 6 - მათზე დაფუძნებული გაანგარიშებები) და 4 ცვლადის დაშვება გაკეთებულია ექსპერტული შეფასების საშუალებით.

3. **ტექნიკური განტოლებები:** მოიცავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ისტორიული მონაცემებიდან და სტილიზირებული ფაქტებიდან გაკეთებულ დაშვებებს. მაგალითად, მომსახურების ექსპორტის პროგნოზული მონაცემი ეყრდნობა დაშვებას, რომ მომსახურების ექსპორტის წილი მთლიანი ექსპორტის მოცულობაში უტოლდება ბოლო სამი წლის წილის საშუალოს.

მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი ეყრდნობა 1996Q1-2022Q2 წლების კვარტალურ მონაცემებს. მონაცემთა ბაზა შედგენილია შემდეგი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მონაცემებით:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეალური სექტორის ცვლადები;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფისკალური სექტორის ცვლადები;

საქართველოს ეროვნული ბანკი - საგარეო სექტორისა და მონეტარული სექტორის ცვლადები.

¹ მოდელში ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი აღებულია მთავრობის საშუალოვადიანი პროგნოზებიდან, როგორც ეგზოგენური ცვლადი.

2.რეალური სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.7%-ით გაიზრდება. მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2023 წლისთვის (6.7%) 0.2 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატება ეკონომიკური ზრდის მთავრობის პროგნოზს² (6.5%) და განსხვავდება (0.9 პპ-ით აღემატება) საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის ივნისში გამოქვეყნებული საპროგნოზო მარვენებლისაგან³. 2020 წელს კოვიდ პანდემიის შედეგად დაფიქსირებული ეკონომიკური კლების შემდგომ (-6.8%), მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა როგორც 2021 წელს (10.5%), აგრეთვე 2022 წელს (წინასწარი მონაცემით 10.1%), რაც ძირითადად განპირობებული იყო 2020 წლის COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული მაღალი ეკონომიკური კლების გამო არსებული ე.წ. საბაზისო ეფექტით და მოსალოდნელზე მნიშვნელოვნად უკეთესი განვითარების ტენდენციის არსებობით. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომისა, 2021 წელს დაწყებული ეკონომიკური ზრდის ტემპი 2022 წელსაც შენარჩუნდა როგორც საგარეო ვაჭრობის მარვენებლებში, აგრეთვე გზავნილების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, საფინანსო სექტორის, ტურიზმის სექტორის და სხვა ეკონომიკური მარვენებლების მიმართულებით. საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებას, რომ მიმდინარე წელს და საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნდება გასული ორი წლის განმავლობაში დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური ზრდის ტენდენციები, უფრო მეტად გაიზრდება ტურიზმის მარვენებლები, მნიშვნელოვან დონეზე შენარჩუნდება საგარეო ვაჭრობის და სხვა ეკონომიკური მარვენებლები. დაშვებისას ასევე მხედველობაშია მიღებული როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკური აქტივობა, ასევე - საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების⁴ ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებები და პროგნოზი⁵. კერძოდ:

- მოსალოდნელია, რომ 2022 წელთან შედარებით 2023 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზრდება მომსახურების სფერო, განსაკუთრებით კი ტურისტული სექტორი, გაიზრდება როგორც მომსახურების ექსპორტი, ისე იმპორტი.
- კორონავირუსის პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად გაზრდილი ინფლაციის ტემპის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის თებერვლიდან გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, რომელმაც თებერვლის დასაწყისიდან 10.5%, ხოლო მარტის ბოლოდან 11.0% შეადგინა. 2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა, რის შემდგომაც აღნიშნულმა მარვენებლმა დაიწყო შემცირება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციის მკვეთრი კლება დაფიქსირდა 2023 წლის მეორე კვარტალში, კერძოდ, 2023 წლის ივლისში წლიური ინფლაციის დონე 0.3%-ით განისაზღვრა, რაც ძირითადად მსოფლიო ბაზარზე ნავთობსა და სურსათზე ფასების კლებით იქნა გამოწვეული. 2023 წლის ივლისის თვეში სურსათის ფასების რეალური ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან მიმართებაში 13.3%-ით შემცირდა⁶. აღნიშნულის პასუხად, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5 პპ-ით, 2 აგვისტოს 0.25 პპ-ით და 13 სექტემბერს

² მთავრობის პროგნოზი გულისხმობს საქართველოს პარლამენტში 19 სექტემბერს ინიცირებული „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე თანდართული 2023-2027წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით წარმოდგენილ საპროგნოზო მარვენებლებს.

³ www.pbo.parliament.ge

⁴ ევროკავშირი, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩინეთი, უკრაინა და აშშ.


⁵ წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა“ ივლისი, 2023“ (WEO July 2023) <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2023/07/10/world-economic-outlook-update-july-2023>

⁶ წყარო: FAO Food Price Index | World Food Situation | Food and Agriculture Organization of the United Nations

0.25 პპ-ით⁷ შეამცირა. აღნიშნულის შესაბამისად და აგვისტოს თვეში დაფიქსირებული წლიური ინფლაციის ტემპის 0.9%-იანი ზრდის გათვალისწინებით, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2023 წლის მეორე ნახევარში წლიური ინფლაციის დაბალი ზრდის ტემპი შენარჩუნდება და 2023 წელს წლიური ინფლაცია მიზნობრივ (3.0%) ჩამოსცდება. აღნიშნული ტრენდის შენარჩუნებაა მოსალოდნელი საშუალოვადიან პერიოდშიც, რასაც პოლიტიკის განაკვეთის უფრო მეტად შემცირება შეიძლება მოჰყვება.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2023-2027 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 5.5%-ს შეადგენს, რაც საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის ივნისის თვეში გაკეთებულ საპროგნოზო მარჯვენებელს 0.2 პროცენტული პუნქტით აღემატება (საშუალოდ 5.3%-იანი ზრდა 2023-2027 წლებში). აღნიშნული ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მიმდინარე წელს დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური მარჯვენებლების ფონზე საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი 2023 წლის ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით გაიზარდა, ასევე შეიცვალა 2023–2027 წლების ეკონომიკური ზრდის პროგნოზები სხვადასხვა მიმართულებით. ოფისის მიერ 2023 წლის ივნისის თვეში გამოქვეყნებული პროგნოზი 2023 წლის ეკონომიკური ზრდის ტემპებთან დაკავშირებით (5.8%) ითვალისწინებდა იმ პერიოდისათვის ეკონომიკურ მარჯვენებლებზე არსებულ ინფორმაციას და ეკონომიკურ ტენდენციებს, ხოლო მომდევნო პერიოდში დაფიქსირებულმა მოსალოდნელზე მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ შეცვალა საბიუჯეტო ოფისის მოლოდინები მიმდინარე წლის საპროგნოზო მარჯვენებლებთან მიმართებაში. 2023 წელს ეკონომიკური აქტივობის ზრდაში ყველაზე დიდ წვლილს რეალური მოხმარება და ინვესტიციები შეიტანს და რეალური მშპ-ის ზრდას შესაბამისად 3.2 და 2.8 პპ-ით განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ დადებითი წვლილი ექნება წმინდა ექსპორტსაც (0.8 პპ) მიმდინარე წლის ეკონომიკურ ზრდაში.

რაც შეეხება მთავრობის საპროგნოზო მარჯვენებელს ანალოგიური პერიოდისათვის, 2023-2027 წლებში საშუალო ეკონომიკური ზრდის სამთავრობო პროგნოზი 5.3%-ს უტოლდება, რაც 0.2 პპ-ით მეტია 2023 წლის ივნისის ანალოგიური მარჯვენებლის პროგნოზზე (5.1%-იანი ზრდა 2023-2027 წლებში). აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საშუალოვადიანი პერიოდისათვის ითვალისწინებს მთავრობის საშუალოვადიან პერიოდში არაფინანსური აქტივების (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) საპროგნოზო/დაგეგმილ ზრდას, რომლის ფაქტობრივმა დინამიკამ, შესაძლოა, შესაბამისი გავლენა მოახდინოს ოფისის საპროგნოზო მარჯვენებლების ფაქტობრივ რეალიზებაზე.




დიაგრამა 1: რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი.

⁷ <https://nbg.gov.ge/monetary-policy/committee-decisions>

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ის შორის იქნება ე.წ. მშპ-ის გაპი⁸.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დაფიქსირებული მკვეთრი ეკონომიკური კლების შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკა პოტენციურ დონეს ჩამორჩებოდა და შესაბამისად რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის უარყოფი გაპი ფიქსირდებოდა, თუმცა 2021 წლიდან დაწყებული მკვეთრი ეკონომიკური ზრდის შესაბამისად უარყოფითი გაპი დაიხურა და ქვეყნის ეკონომიკურმა ზრდამ მის პოტენციურ დონეს გადააჭარბა. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, დადებითი გაპია მოსალოდნელი საშუალოვადიან პერიოდშიც, თუმცა ქვეყნის ეკონომიკა თანდათან დაუახლოვდება პოტენციურ დონეს და შესაბამისად, საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს, 2026-2027 წლებში, რეალური მშპ პოტენციურს უმნიშვნელოდ გადააჭარბებს⁹.




დიაგრამა 2: რეალური მშპ-ის გაპი.

რაც შეეხება ნომინალურ მშპ-ს ერთ სულზე, მისი მოცულობა საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით 2023 წლისთვის 21,133 ლარს, ხოლო 2027 წლისათვის - 29,269 ლარს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავდება მთავრობის პროგნოზისგან, რომელიც 2023 წელს 21,359 ლარს, ხოლო 2027 წლისთვის კი 29,277 ლარს შეადგენს. ერთ სულზე მშპ-ის ინდიკატორის განსხვავებული მაჩვენებლების ძირითადი გამომწვევი მშპ-ის და დეფლატორის განსხვავებული პროგნოზებია, აგრეთვე დაშვება მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ¹⁰. კერძოდ, ოფისის პროგნოზით მშპ-ის დეფლატორის მაჩვენებელი 2023 წელს შეადგენს 3.3%-ს, ხოლო მთავრობის პროგნოზით აღნიშნული მაჩვენებელი 3.1%-ს გაუტოლდება.

⁸ დამატებით, მშპ-ს გაპის შესახებ იხ. <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/KP0215.pdf>


⁹ მშპ-ის პოტენციური დონე შეფასებულია „კალმანის ფილტრის“ გამოყენებით. პოტენციური დონის შეფასების მეთოდოლოგიისათვის იხილეთ საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: ["ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულებები, ციკლორობა, მანევრირების რესურსი"](#).

¹⁰ საბიუჯეტო ოფისის მიერ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის დასათვლელად (მიმდინარე ფასებში) აღებულია საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 3.736357 მლნ კაცი (წყარო: საქსტატი, 2023 წლის 1 იანვარი).



დიაგრამა 3: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ნომინალური ლარი.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლისათვის ნომინალური მშპ 10.0%-ით გაიზრდება და 78,961 მლნ ლარს მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ მთავრობის რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპის და ინფლაციის განსხვავებული პროგნოზების გათვალისწინებით, ნომინალური მშპ-ის მარჯვენებელი ჩამორჩება საბიუჯეტო ოფისის მარჯვენებელს როგორც მიმდინარე წელს, ასევე საშუალოვადიან პერიოდში.




დიაგრამა 4: ნომინალური მშპ მლნ ლარი.


საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ე.წ. „საორიენტაციო ტრაექტორიის“ გათვალისწინებით, 2023 წლისთვის ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე ნაკლები იქნება და 2.8%-ს მიაღწევს. ოფისის მიერ 2023 წლის ივნისის თვეში გამოქვეყნებული წლიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი 2.3%-ს შეადგენდა. ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე

დაბალი მარჯვენებელია, ასევე, მოსალოდნელი საშუალოვადიან პერიოდშიც. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მეორე ნახევარში ინფლაციის მარჯვენებლის მკვეთრ შემცირებაზე გავლენა იქონია 2023 მეორე ნახევარში ნავთობის და სასურსათო პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე ფასების მნიშვნელოვანმა კლებამ, თუმცა მიმდინარე წლის ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებისა და აგვისტოს თვეში დაფიქსირებული წლიური ინფლაციის მცირე ზრდის შემდეგ (0.9%), საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო წლიური ინფლაციის მარჯვენებელი 0.5 პპ-ით გაიზარდა ივნისის პროგნოზთან შედარებით. აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ ინფლაცია წლის განმავლობაში მცირე ტემპით განაგრძობს ზრდას.

მთავრობის პროგნოზით 2023 წელს ინფლაცია 2.6%-ს შეადგენს და საშუალოვადიან პერიოდში ეროვნული ბანკის მიზნობრივ 3.0%-იან მარჯვენებელს არ გადააჭარბებს. გასათვალისწინებელია, რომ როგორც მონეტარული პოლიტიკის, ასევე - საგარეო ფაქტორების განსხვავებულმა ცვლილებამ, შესაძლებელია, განაპირობოს განსხვავებები საპროგნოზო მარჯვენებლებისაგან.




დიაგრამა 5: სამომხმარებლო ფასების ინდექსები, პერიოდის საშუალო.



დიაგრამა 6: მშპ-ის დეფლატორი.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, გამოცოცხლებული ეკონომიკური აქტივობის პარალელურად კერძო ინვესტიციების მშპ-სთან ფარდობა 2023 წლისათვის 2022 წელთან შედარებით 3.2%-ული პუნქტით გაიზრდება და მშპ-ის 15.6%-ს მიაღწევს, საშუალოვადიან პერიოდში ზრდადი ტენდენცია ექნება და 2027 წელს 17.1%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ზრდის ტრენდი ექნება კერძო დანაზოგების მშპ-თან ფარდობასაც, 2023 წლისთვის იგი მშპ-ის 13.8%-ის, ხოლო 2027 წლისათვის - 15.4%-ის დონეზე დაფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ საშუალოვადიან პერიოდში მთლიანი დანაზოგები კვლავ არ იქნება საკმარისი მთლიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად, ამიტომ ინვესტიციები დანარჩენი მსოფლიოსგან მიღებული სესხებით დაფინანსდება (მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსი). მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2023 წლისათვის კერძო ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის ზრდა 14.7%-მდე არის მოსალოდნელი, საშუალოვადიან პერიოდში გაიზრდება და 2027 წლისთვის 17.5%-ს გაუტოლდება.




დიაგრამა 7: კერძო ინვესტიციები, მშპ-თან შეფარდება.

3. ფისკალური სექტორი


ფისკალური გარემოს ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მოცულობა როგორც საშუალოვადიან, ასევე - გრძელვადიან პერიოდში. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2023 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს¹¹ (GFSM 2014) მშპ-თან მოსალოდნელი ფარდობა -2.9%-ს შეადგენს (2023 წლის ივნისის პროგნოზით იგი -2.4% იყო). ამასთან, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ე.წ. მოდიფიცირებული მთლიანი სალდოს¹²

¹¹ ბიუჯეტის მთლიანი სალდო = ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობას გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება.
¹² მოდიფიცირებული მთლიანი სალდო - ბიუჯეტის მთლიან სალდოსა და ფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა.

მარვენებელი (რომელიც ცალკეული მუხლების რეკლასიფიკაციით მიიღება და გამოიყენება IMF-ის პროგრამაში) 2023 წლისთვის -2.7%-ს გაუტოლდება.



დიაგრამა 8: ბიუჯეტის მთლიანი სალდო, მშპ-თან შეფარდება.



დიაგრამა 9: მოდიფიცირებული მთლიანი სალდო, მშპ-თან შეფარდება.

2023 წელს, საბიუჯეტო ოფისის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის¹³ მარვენებელი (-2.9%) 0.1 პპ-ით ნაკლებია მთავრობის ანალოგიურ მარვენებელზე (-3.0%), რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საბიუჯეტო ოფისის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 170 მლნ ლარით აღემატება მთავრობის მარვენებელს. აღნიშნული განპირობებულია როგორც არაპირდაპირი, ისე

¹³ ბიუჯეტის დეფიციტი = ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო.

პირდაპირი გადასახადების განსხვავებული პროგნოზით. აღსანიშნავია, რომ როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის პროგნოზით 2023 წელს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 3.0%-ზე მეტი არ იქნება და აღნიშნული ტრენდი შენარჩუნდება საშუალოვადიან პერიოდშიც.

რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის¹⁴ დეფიციტს, რომელზეც 2019 წლიდან ვრცელდება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ე.წ. ბიუჯეტის ბალანსის/დეფიციტის წესი, იგიც საშუალოვადიან პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის მსგავსად შემცირების ტენდენციას ავლენს. როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის პროგნოზების მიხედვით 2023 წელს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს კლების ტენდენცია ექნება და არ აღემატება ფისკალური წესით განსაზღვრულ 3.0%-იან ლიმიტს. კერძოდ, 2023 წელს საბიუჯეტო ოფისის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელია -2.8%, რაც 0.2 პროცენტული პუნქტით განსხვავდება მთავრობის ანალოგიური მაჩვენებლისგან (-3.0%) და 0.4 პპ-ით მეტია საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის ივნისის თვეში გამოქვეყნებულ პროგნოზზე (-2.4%).

აქვე ხაზგასასმელია, რომ როგორც უკვე აღინიშნა, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზების საბაზისო სცენარი ეყრდნობა მთავრობის მიერ წარმოდგენილ 2023-2027წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ ფისკალურ გეგმას საშუალოვადიანი პერიოდისათვის.

ფისკალური სექტორის ანალიზის დროს, აგრეთვე მნიშვნელოვანია საშუალოვადიანი პერიოდისათვის შეფასდეს ფისკალური ინდიკატორები ეკონომიკური განვითარების ტენდენციებთან მიმართებით¹⁵, კერძოდ - დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულება და კავშირი ეკონომიკურ ციკლთან¹⁶.


საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023-2027 წლებში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტს (ციკლურად შესწორებული პირველადი მთლიანი სალდო) და შესაბამისად, დადებით ფისკალურ პოზიციას ემთხვევა მშპ-ის დადებითი გაპი, რაც პროციკლური ფისკალური ექსპანსია¹⁷ და გულისხმობს იმას, რომ ქვეყნის რეალური მშპ მეტია მის პოტენციურ დონეზე, თუმცა სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ანუ ეკონომიკური ზრდის დროს ხდება მისი სტიმულირება.

¹⁴ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი არის ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

¹⁵ კვლევა ეყრდნობა დაშვებას, რომ ხარჯვითი პოლიტიკა სრულად დისკრეციულია: გადაწყვეტილებები ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესახებ არ მიიღება ეკონომიკური ციკლების მიხედვით.

¹⁶ იხილეთ საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: ["ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანიევრირების რესურსი"](#).


¹⁷ ანტიციკლური ფისკალური ექსპანსია - როდესაც ქვეყნის რეალური მშპ ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, ხოლო ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ანუ ეკონომიკის შენელების დროს ხდება მისი სტიმულირება.



დიაგრამა 10: ფისკალური პოზიცია.


საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2023 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 19,580 მლნ ლარს შეადგენს, რაც 215 მლნ ლარით აღემატება საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის ივნისში გაკეთებულ 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მარგენებელს, ხოლო 170 მლნ ლარით აღემატება მთავრობის პროგნოზს (19,410 მლნ ლარი). უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება შეინიშნება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გადასახადების საპროგნოზო მარგენებლებს შორის¹⁸ (იხ. დიაგრამა 11-12). საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლისთვის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მშპ-ის 24.8%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზი კი 24.6%-ია. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის თანახმად, 2023-2027 წლებისათვის გადასახადების შეფარდება მშპ-თან საშუალოდ 24.5% იქნება.

¹⁸ პირდაპირი გადასახადები ასევე მოიცავს სხვა გადასახადების საპროგნოზო შემოსავლებს.



დიაგრამა 11: 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (საბიუჯეტო ოფისი)


საგადასახადო შემოსავლების კომპონენტების დონეზე ანალიზისას აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წელს 0.7 კპ-ით გაიზრდება პირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში (45.5%). შესაბამისად, არაპირდაპირი გადასახადების წილი 54.5% იქნება. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, საშუალოვადიან პერიოდში პირდაპირი გადასახადების წილი¹⁹ უმნიშვნელოდ მოიმატებს, ხოლო დაიკლებს არაპირდაპირი გადასახადების წილი. აღსანიშნავია, რომ მოცემული საშუალოვადიანი პროგნოზები ეყრდნობა არსებულ ფისკალურ პოლიტიკას და გათვალისწინებულია 2017-2021 წლებში განხორციელებული საგადასახადო და საპენსიო რეფორმები. საბიუჯეტო პოლიტიკის შემდგომმა ცვლილებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს განსხვავებები აღნიშნული პროგნოზებისაგან.




დიაგრამა 12: 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (მთავრობა)

რაც შეეხება მთავრობის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას, მოსალოდნელია, რომ პირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 2023 წლისათვის 45.6% იქნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში უმნიშვნელოდ გაიზრდება.

¹⁹ საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ეყრდნობა შემდეგ დაშვებებს: მოგების გადასახადის რეფორმის გავლენა გამოვლინდება მომდევნო წლებში, ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ გაიზრდება როგორც პირდაპირი გადასახადების ადმინისტრირება, ასევე ქონების გადასახადის პროგრესულობიდან გამომდინარე მისი წილიც საგადასახადო შემოსავლებში.



დიაგრამა 13: საგადასახადო შემოსავლები, მშპ-თან შეფარდება.




დიაგრამა 14: საგადასახადო შემოსავლები, მილიონი ლარი.

4. საგარეო სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2023 წლისთვის საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მოსალოდნელი დეფიციტი მშპ-ის 3.6%-ია, რაც 1.3 პროცენტული პუნქტით განსხვავდება ოფისის 2023 წლის ივნისის პროგნოზისგან (4.9%), ხოლო მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ის 3.5%-ს (2023 წლის ივნისის პროგნოზით 5.4%) შეადგენს. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით მიმდინარე ანგარიშის 2023-2027 წლებში საშუალოდ მშპ-ის -3.7%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება, მთავრობის პროგნოზის მიხედვით დეფიციტი 2023-2027 წლებში საშუალოდ მშპ-ის -4.0%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება.

საბიუჯეტო ოფისის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მოსალოდნელი კლების მთავარი მამოძრავებელი ძალა შიდა დანაზოგების საპროგნოზო ზრდაა.²⁰ მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში იზრდება მშპ-ში ინვესტიციების წილიც, დანაზოგების ზრდის ტემპი არამხოლოდ აკომპენსირებს ამ ზრდას, არამედ მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებასაც უზრუნველყოფს. ამ მხრივ აღსანიშნავია კერძო დანაზოგების ზრდა.




დიაგრამა 15: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, მშპ-თან შეფარდება.

რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის კომპონენტებს:


- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფორმირების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი სავაჭრო ბალანსის მოსალოდნელი დინამიკაა. Covid-19 პანდემიის გავლენით შემცირებული ეკონომიკური აქტივობის შემდგომ, 2021 წლიდან საგარეო აქტივობა საგრძნობლად გამოცოცხლდა, რაც გაგრძელდა მომდევნო წელსაც. აქედან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ საგარეო ვაჭრობის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება და სავაჭრო ბალანსი თანდათან გაუმჯობესდება. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, სავაჭრო დეფიციტი 2023 წელს მშპ-ის 8.4%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზით კი დეფიციტი 9.7% იქნება. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვით მიმდინარე ანგარიში და სავაჭრო ბალანსი საშუალოვადიან პერიოდში მცირე რყევებით ხასიათდება.

²⁰ მიმდინარე ანგარიშის ბალანსი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მთლიანი ინვესტიციებისა და მთლიანი დანაზოგების სხვაობა - დეფიციტი ნიშნავს, რომ დანაზოგები არაა საკმარისი ინვესტიციების დასაფინანსებლად და ქვეყანა სესხს იღებს დანარჩენი მსოფლიოსგან.



დიაგრამა 16: საგაჭრო ბალანსი, მშპ-თან შეფარდება.


რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, **2023 წლისთვის წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადების მოსალოდნელი მოცულობა 1,032 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდება** და საშუალოვადიან პერიოდში გაიზრდება, ხოლო მთავრობის პროგნოზით, წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები 2023 წელს 899 მლნ აშშ დოლარი იქნება, 2024 წელს 1,410 მლნ აშშ დოლარამდე გაიზრდება, ხოლო 2025 წლიდან შემცირდება.




დიაგრამა 17: წმინდა კერძო და კაპიტალური ნაკადები, მლნ აშშ დოლარი.

5. მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისის დაშვებით, 2023 წლისთვის ფულის მასა M3 აგრეგატის მოცულობა 44,681 მლნ ლარს გაუტოლდება, ხოლო ზრდის წლიური ტემპი - 18.5%-ს. თავის მხრივ, ფულის მასა M2 აგრეგატის მოსალოდნელი მოცულობა 23,888 მლნ ლარია, ზრდა კი - 20.7%.




დიაგრამა 18: ფულის მასის M3 ზრდის ტემპი.



დიაგრამა 19: ფულის მასის M2 ზრდის ტემპი.


საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2023 წლისათვის მოსალოდნელია საერთაშორისო რეზერვების 7.6%-ით ზრდა. შესაბამისად, 2023 წელს რეზერვების მოცულობა 5,273 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს

(3.4 თვის იმპორტის ჯერადი²¹), ხოლო 2027 წლისთვის საერთაშორისო რეზერვების მოსალოდნელი მოცულობა 7,526 მლნ აშშ დოლარი იქნება.



დიაგრამა 20: საერთაშორისო რეზერვები, მლნ აშშ დოლარი.

რაც შეეხება კერძო სექტორზე გაცემულ სესხებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2023 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 52,419 მლნ ლარს მიაღწევს, რაც 118 მლნ ლარით მეტია სამთავრობო პროგნოზთან შედარებით. აღნიშნული ტენდენცია ნარჩუნდება 2023-2027 წლებშიც, გარდა 2026 წლისა, როდესაც მთავრობის პროგნოზი უმნიშვნელოდ აღემატება საბიუჯეტო ოფისის პროგნოზს.



დიაგრამა 21: კერძო სექტორზე გაცემული სესხები. ნაშთები. მლნ ლარი.

²¹ რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი - https://www.imf.org/external/np/pdr/debtres/#III_B

დანართი 1: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)²²

	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 ფაქტი	2023 PBO მოსალოდნელი	2024 PBO პროგნოზი	2025 PBO პროგნოზი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი
რეალური სექტორი	%-ული ზრდა							
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი	-6.8%	10.5%	10.1%	6.7%	5.8%	5.1%	4.9%	5.2%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	5.2%	9.6%	11.9%	2.8%	3.0%	2.7%	2.9%	2.8%
მშპ დეფლატორი	7.3%	10.3%	8.6%	3.3%	3.3%	3.2%	3.0%	2.8%
ნომინალური მშპ								
მილიონი ლარი	49 267	60 003	71 754	78,961	86,276	93,567	101,119	109,358
მილიონი აშშ დოლარი	15 847	18 626	24 605	29,592	31,838	34,140	36,863	40,501
მშპ ერთ სულ მოსახლეზე								
ლარი	13 234	16 179	19 453	21,133	23,091	25,042	27,064	29,269
დოლარი	4 256	5 023	6 672	7,911	8,502	9,119	9,848	10,841
	% მშპ-სთან							
აბსორბცია	119.2	116.5	110.0	108.2	108.6	108.1	108.2	109.2
მომხმარება	95.3	97.5	89.3	86.2	85.2	85.0	85.4	86.1
კერძო	87.8	90.5	82.8	79.1	78.2	78.0	78.3	78.9
სახელმწიფო	7.6	7.0	6.4	7.0	7.0	7.0	7.1	7.2
ინვესტიციები	23.9	19.0	20.7	22.0	23.4	23.1	22.8	23.1
კერძო	15.3	11.3	12.4	15.6	15.9	16.8	16.6	17.1
სახელმწიფო	8.6	7.7	8.3	6.4	7.6	6.4	6.2	6.0
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	11.4	8.6	16.6	18.6	19.6	19.5	19.5	19.4
სახელმწიფო	-1.1	0.6	5.2	4.8	4.2	4.1	4.1	4.0
კერძო	12.5	7.9	11.3	13.8	15.4	15.4	15.4	15.4
ფისკალური სექტორი²³	მლნ ლარი							
შემოსავლები და გრანტები	12,407	15,143	19,378	21,798	23,398	25,097	27,068	29,021
საგადასახადო შემოსავლები	10,964	13,380	17,386	19,580	21,147	22,824	24,755	26,678
პირდაპირი გადასახადები	4,433	5,395	7,797	8,915	9,596	10,442	11,466	12,322

²² ხარჯების, არაფინანსური აქტივების და ნომინალური ვალის მთავრობის პროგნოზი გულისხმობს საქართველოს პარლამენტში 2023 წლის 19 სექტემბერს წარმოდგენილ 2023-2027წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებლებს.

²³ ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს გარდა ყველა ინდიკატორი წარმოდგენს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებელს.

არაპირდაპირი გადასახადები	6,531	7,985	9,589	10,665	11,551	12,382	13,289	14,356
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	17,189	19,358	21,579	24,400	25,637	27,309	29,275	31,356
მიმდინარე ხარჯები	12,960	14,767	15,611	18,016	19,772	21,307	22,905	24,646
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,229	4,591	5,968	6,384	5,865	6,002	6,370	6,710
საოპერაციო სალდო	-553	375	3,767	3,782	3,626	3,790	4,163	4,375
მთლიანი სალდო	-4,574	-3,794	-1,766	-2,252	-1,939	-1,912	-1,957	-2,085
მთავრობის ვალი	29,654	29,812	28,538	31,283	33,585	36,429	39,807	42,126
საგარეო	23,467	23,967	21,392	22,829	23,635	24,932	26,654	27,214
საშინაო	6,186	5,845	7,146	8,454	9,950	11,497	13,153	14,913
მოდIFIცირებული მთლიანი სალდო	-4,596	-3,662	-2,203	-2,117	-2,059	-2,032	-2,077	-2,205
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-4,481	-3,796	-1,601	-2,189	-1,864	-1,821	-1,888	-2,099
	% მშპ-სთან							
შემოსავლები და გრანტები	25.2%	25.2%	27.0%	27.6%	27.1%	26.8%	26.8%	26.5%
საგადასახადო შემოსავლები	22.3%	22.3%	24.2%	24.8%	24.5%	24.4%	24.5%	24.4%
პირდაპირი გადასახადები	9.0%	9.0%	10.9%	11.3%	11.1%	11.2%	11.3%	11.3%
არაპირდაპირი გადასახადები	13.3%	13.3%	13.4%	13.5%	13.4%	13.2%	13.1%	13.1%
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	34.9%	32.3%	30.1%	30.9%	29.7%	29.2%	29.0%	28.7%
მიმდინარე ხარჯები	26.3%	24.6%	21.8%	22.8%	22.9%	22.8%	22.7%	22.5%
არაფინანსური აქტივების ზრდა	8.6%	7.7%	8.3%	8.1%	6.8%	6.4%	6.3%	6.1%
საოპერაციო სალდო	-1.1%	0.6%	5.2%	4.8%	4.2%	4.1%	4.1%	4.0%
მთლიანი სალდო	-9.3%	-6.3%	-2.5%	-2.9%	-2.2%	-2.0%	-1.9%	-1.9%
მთავრობის ვალი	60.2%	49.7%	39.8%	39.6%	38.9%	38.9%	39.4%	38.5%
საგარეო	47.6%	39.9%	29.8%	28.9%	27.4%	26.6%	26.4%	24.9%
საშინაო	12.6%	9.7%	10.0%	10.7%	11.5%	12.3%	13.0%	13.6%
მოდIFIცირებული მთლიანი სალდო	-9.3%	-6.1%	-3.1%	-2.7%	-2.4%	-2.2%	-2.1%	-2.0%
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-9.1%	-6.3%	-2.2%	-2.8%	-2.2%	-1.9%	-1.9%	-1.9%
მონეტარული სექტორი	%-ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული							
წმინდა უცხოური აქტივები	1.9%	0.0%	4.3%	4.3%	4.2%	4.0%	3.8%	3.7%
წმინდა საშინაო აქტივები	59.8%	56.4%	48.3%	52.3%	55.5%	59.4%	63.0%	67.8%

ფართო ფული M3	61.7%	56.4%	52.6%	56.6%	59.7%	63.4%	66.8%	71.5%
ფართო ფული M2	27.7%	26.8%	27.6%	30.3%	32.3%	34.4%	36.7%	39.6%

საგარეო სექტორი	% -ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული							
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-12.5%	-10.4%	-4.1%	-3.6%	-4.0%	-3.9%	-3.5%	-3.7%
სავაჭრო ბალანსი	-19.2%	-16.5%	-10.0%	-8.4%	-8.8%	-8.3%	-8.4%	-9.3%
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	3,911	4,272	4,885	5,273	5,667	6,203	6,707	7,526
იმპორტის ჯერადი	5.2	4.6	3.7	3.4	3.2	3.2	3.2	3.1
წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები (მლნ აშშ დოლარი)	985.4	750.3	1,666.7	1,032	1,093	1,124	1,156	1,189

დანართი 2: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2023-2024 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)

	2023 წელი				2024 წელი			
	სექტემბერი 2023		ივნისი 2023		სექტემბერი 2023		ივნისი 2023	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	6.5%	6.7%	5.4%	5.8%	5.2%	5.8%	5.0%	5.1%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	2.6%	2.8%	2.8%	2.3%	2.8%	3.0%	2.7%	2.8%
მშპ დეფლატორი	3.1%	3.3%	3.3%	3.8%	3.0%	3.3%	3.2%	3.2%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	78,787	78,961	78,125	78,577	85,371	86,276	84,656	85,241
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	19,410	19,580	19,100	19,365	20,980	21,147	20,700	20,893
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	8,851	8,915	8,722	8,871	9,607	9,596	9,482	9,527
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	10,559	10,665	10,378	10,494	11,373	11,551	11,218	11,366
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,335	-2,252	-2,288	-1,920	-2,054	-1,939	-2,025	-1,680
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-3.5%	-3.6%	-5.4%	-4.9%	-4.8%	-4.0%	-5.1%	-4.8%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-9.7%	-8.4%	-11.7%	-9.6%	-11.3%	-8.8%	-11.4%	-9.7%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	20.8%	20.8%	20.0%	21.8%	9.6%	14.3%	8.9%	10.4%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	20.5%	18.0%	23.7%	20.9%	12.1%	14.1%	8.4%	10.3%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,324	5,273	5,324	6,296	5,803	5,667	5,803	6,804
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	44,606	44,681	43,352	44,454	51,458	51,517	49,873	51,256
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	23,755	23,888	23,219	23,690	27,664	27,890	26,970	27,659

დანართი 3: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2025-2026 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)

	2025 წელი				2026 წელი			
	სექტემბერი 2023		ივნისი 2023		სექტემბერი 2023		ივნისი 2023	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	5.0%	5.1%	5.0%	5.2%	5.0%	4.9%	5.0%	5.0%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	3.0%	2.7%	3.0%	2.9%	3.0%	2.9%	3.0%	2.8%
მშპ დეფლატორი	3.0%	3.2%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	92,328	93,567	91,555	92,327	99,853	101,119	99,017	99,848
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	22,700	22,824	22,350	22,552	24,600	24,755	24,200	24,459
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	10,424	10,442	10,267	10,367	11,323	11,466	11,142	11,383
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	12,276	12,382	12,083	12,185	13,277	13,289	13,058	13,076
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-1,992	-1,912	-1,990	-1,665	-2,107	-1,957	-2,064	-1,668
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-4.3%	-3.9%	-4.8%	-4.6%	-3.8%	-3.5%	-4.4%	-4.4%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-10.9%	-8.3%	-11.2%	-9.7%	-10.6%	-8.4%	-11.1%	-9.5%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	8.7%	10.7%	8.4%	8.5%	8.7%	10.6%	8.4%	8.3%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	8.0%	9.5%	8.0%	8.1%	8.1%	10.4%	8.1%	8.2%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	6,268	6,203	6,268	7,352	6,769	6,707	6,769	7,824
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	59,076	59,300	57,255	59,000	67,821	67,561	65,731	67,573
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	32,071	32,217	31,267	31,950	37,179	37,078	36,247	36,771

დანართი 4: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2027 წლისთვის (საბაზისო სცენარი)

	2027 წელი			
	სექტემბერი 2023		ოქტომბერი 2023	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	5.0%	5.2%	5.0%	5.3%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	3.0%	2.8%	3.0%	3.0%
მშპ დეფლატორი	3.0%	2.8%	3.0%	3.0%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	107,991	109,358	107,087	108,298
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	26,600	26,678	26,200	26,359
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	12,272	12,322	12,091	12,233
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	14,328	14,356	14,109	14,125
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,187	-2,085	-2,181	-1,942
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-3.2%	-3.7%	-4.1%	-4.0%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-10.3%	-9.3%	-11.0%	-9.1%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	8.6%	11.7%	8.2%	8.8%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	8.1%	12.9%	8.1%	8.4%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	7,311	7,526	7,311	7,994
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	77,861	78,188	75,461	77,391
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	43,102	43,340	42,021	42,599